

სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

აცხადებს
ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

არატრადიციული ენერგეტიკის ლაბორატორია

*მეცნიერ-თანამშრომელი-1 (ერთი) სრული სამტატო განაკვეთი,
(უპირატესობა მიენიჭება ახალგაზრდა მეცნიერებს);*

მეცნიერ-თანამშრომლის კონკურსის პირობები

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:

1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგისტრი, დოქტორანტი, დოქტორი.
2. განყოფილების მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს - Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე (xlomidze@sipt.org.ge) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (იხ. განცხადების ფორმა); www.sipt.org.ge
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

- საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად

- კონკურსი გაიმართება 2016 წლის 29 დეკემბერს.

დამატებითი ინფორმაცია ლაბორატორიების მეცნიერ-თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციასთან დაკავშირებით იხილეთ www.sipt.org.ge
დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი
ხათუნა ლომიძე
ტელეფონი 599959913

სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის არატრადიციული ენერგეტიკის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლის

თანამდებობრივი ინსტრუქცია

1 ზოგადი დებულებები

1.1. მეცნიერ-თანამშრომელი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება დირექტორის ბრძანებით, ლაბორატორიის ხელმძღვანელის რეკომენდაციით;

1.2. მეცნიერ-თანამშრომელი ასრულებს ლაბორატორიის ხელმძღვანელის მითითებებს, მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში;

1.3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები: მეცნიერ-თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლება, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგისტრი, დოქტორანტი, დოქტორი და შესაბამისი სპეციალობით მუშაობის გამოცდილება.

2 ფუნქციები

2.1 მაღალი ეფექტურობის მქონე წვრილმარცვლოვანი n- და p-ტიპის თერმოელექტრული $Si_{1-x}Ge_x$ ($0.01 \leq x \leq 0.5$) შენადნობების დამუშავება და მათ ფუძეზე თერმოელექტრული ბატარეების შექმნა.

2.2. მონაწილეობს შესრულებული სამუშაოს საანგარიშო დოკუმენტაციის მომზადებაში.

3 თანამდებობრივი მოვალეობები

3.1. მეცნიერ-თანამშრომელი ასრულებს შემდეგ მოვალეობებს:

SiGe სისტემის - n- და p- შენადნობების სინთეზი და მათი კვლევა, მიღებული შენადნობების ულტრადისპერსული ფხვნილების დამზადება და მათი კვლევა, ფხვნილების კომპაქტირებით მიღებული ბრიკეტების სტრუქტურისა და თერმოელექტრული მახასიათებლების კვლევა, საკომუტაციო მასალებისა და ელექტროიზოლაციური ფენების მასალების დამუშავება, თერმოელექტრული ბატარეების დამზადება და მათი ენერგეტიკული მახასიათებლების კვლევა.

3.2. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დროულ შესრულებაზე, ჩატარებული კვლევების ანგარიშის მომზადებასა და ლაბორატორიის ხელმძღვანელთან წარდგენაზე.

3.3 მეცნიერ-თანამშრომელი მონაწილეობას ღებულობს ლაბორატორიაში არსებულ დანადგარ-მოწყობილობებზე ტექნოლოგიური პროცესების რეგლამენტის , შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ინსტრუქციების შედგენაში.

3.3 მეცნიერ-თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

3.3.1. შესაბამისი სამეცნიერო და ტექნიკური სფეროს სამეცნიერო პრობლემები და მიღწევები;

3.3.2. კვლევების დაგეგმვის, ექსპერიმენტების ჩატარების თანამედროვე მეთოდები და საშუალებები;

3.3.3. ვაკუუმური ტექნიკისა და ტექნოლოგიის საფუძვლები, მონოკრისტალების მიღების მეთოდები და დანადგარები, ნახევარგამტარულ ფუძემრეებზე p-n გადასვლების მიღების ტექნოლოგია და მათი ელექტროფიზიკური და ოპტიკური თვისებების კვლევისთვის აუცილებელ ხელსაწყო-დანადგარებთან მუშაობა;

3.3.4. შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესები.

4 უფლებები (უფლებამოსილება)

4.1 მეცნიერ-თანამშრომელი უფლებამოსილია:

- გაეცნოს ინსტიტუტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებათა პროექტებს თავისი საქმიანობის შესახებ.
- მოითხოვოს პირადად ან ხელმძღვანელობის სახელით ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომლებიც სჭირდება თავისი მოვალეობების შესასრულებლად.

5 პასუხისმგებლობა

მეცნიერ-თანამშრომელი პასუხისმგებელია:

- თავისი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებაზე, რომელიც განსაზღვრულია ინსტიტუტის წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე ინსტრუქციითა და საქართველოს შრომის კოდექსით;
- მიყენებულ ზარალზე, იმ ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს შრომის კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად;
- აღებული გეგმიური სამუშაოების დროულად შესრულებაზე;
- სკს-ის შესრულებისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფაზე;
- შრომის დაცვის უსაფრთხოების წესების საწარმოო სანიტარული და საწარმოო უსაფრთხოების მოთხოვნებზე.